<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩისთვის იუნკერის პლატონ დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩას მიენიჭოს იუნკერის პლატონ დოლიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

პლატონ დოლიძის ქ.
01.01.834
01.00.287
01.00.393
01.00.013
01.01.337
01.01.312
01.12.13.054.001
01.12.13.054.002
01.12.13.054.004
01.12.13.054.010
01.12.13.054.017
01.12.13.054.022
01.12.13.054.023
01.12.13.074.038
01.12.13.074.035
01.12.13.074.008
01.12.13.074.033
01.12.13.074.034
01.12.13.074.024
01.12.13.074.011
01.12.13.074.040
01.12.13.074.037
01.12.13.073.007
01.12.13.073.012
01.12.13.073.021
01.12.13.073.004
01.12.13.073.002
01.12.13.073.013
01.12.13.073.001
01.12.13.073.040
01.12.13.073.030
01.12.13.073.017
01.12.13.073.035
01.12.13.073.023
01.12.13.072.020
01.12.13.072.016
01.12.13.072.019
01.12.13.079.001
01.12.13.080.006
01.12.13.080.009
01.12.13.080.001
01.12.13.080.028
01.12.13.055.002
01.12.13.055.024
01.12.13.055.033

19/032012682-03.

my.gov.ge

"ჩემი ელექტრონული მთავრობა"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო უწყებებთან მიმოწერის სერვისის მეშვეობით

№ CA0041201067122 **24.04.2020**

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
თინათინ ნიბლოშვილი
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარე

სათაური: განცხადება/შუამდგომლობა

შინაარსი: 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის იუნკრების: ალექსანდრე ახვლედიანის, პლატონ დოლიძის, შალვა ერისთავის, პავლე იაკობაშვილის, ლევან კანდელაკის, ოთარ ლორთქიფანიძის, მიხეილ ლოლუას, ილია და იოსებ ჯანდიერების სახელების ქ.თბილისში არსებული უსახელო ქუჩებისთვის მინიჭების შესახებ.

დოკუმენტები:
1) pdf.pdf;

პატივისცემით,

იოსებ ჭონქაძე
პ. #: 16001018464

მობილური: +995595706880
ელფოსტა: iosebchonkadze@gmail.com

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის

(gmas.ge) დამფუძნებლის

იოსებ ჭონქაძის

მის:ქ.თბილისი გლდანი,მე-3 მ/რ,77 კორპუსი ,ბინა N23

მობილიური; 595 760 880

Mail: iosebchonkadze@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო თინათინ,

მოგეხსენებათ, რომ 1919 წელს გენერალ გიორგი კვინიტაძის ინიციატივით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების (პარლამენტის) დადგენილებით, თბილისში დაარსდა იუნკერთა ქართული ორწლიანი სასწავლებელი. სასწავლებელში, ძირითადად, ქართველ თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ. სამხედრო ხელოვნებას ეუფლებოდა სულ 182 იუნკერი («უნკერ» გერმანულად თავადაზნაურული წარმოშობის უნტერ-ოფიცერს ნიშნავს).

ეს იყო პირველი ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა იმჟამინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ზედმიწევნით ითვალისწინებდა.

სკოლის პირველი უფროსი გენერალი გ. კვინიტაძე იყო. მას შემდეგ, რაც გ. კვინიტაძე საქართველოს ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა, სკოლას სათავეში ჩაუდგა მისი მოადგილე, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე. სწორედ მან მოუპოვა იუნკერთა სკოლას გმირთა სახელი.

გიორგი კვინიტაძე

«იუნკრები, პროფესიონალი მეომრები იყვნენ, სწორედ ამიტომაც იდგნენ ისინი რამდენიმე თავით მაღლა მაშინდელი ქართული ჯარის სხვა შენაერთებზე. ტაბახმელაზე იგივე ქართველები იდგნენ, მაგრამ ნორმალურად აღზრდილნი, ბრძოლისათვის განსწავლულნი», გენერალი კვინიტაძე."

1921 წლის თებერვალი სამხედრო სკოლა მიდის ფრონტზედ, სამხედრო სკოლა!» – ელვის სისწრა¬ფით გავარდა ხმა ქალაქში და მთელი ქალაქი მიხაილოვის და რუსთაველის ქუჩაზედ გამოიფინა. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა გარეთ გამოსულიყო და მწყობრად მიმავალთ ტაშის ცემითა და ვაშათი ეგებებოდა. იუნკერთა სასწავლებელი კი, მიდიოდა მთელი თავისი სიდარბაისლით, წარბშეუხრელად და დინჯად, ვერის აღმართზე ხალხმა იმატა, აღტაცებისა და მისალმების ყიჟინა დედათა მიერ შვილების უკანასკნელ ლოცვასა და ალერსში აირია: «შვილო! შენ იცი, როგორ იბრძოლებ სამშობლოსათვის! შვილებო! შვილო!» ეალერსებოდნენ ხან შვილს, ხან მის ამხანაგებს. შვილები და ამხანაგები კი, ისევ მედგრად განაგრძობდნენ წინსვლას…

ნ. მათიკაშვილისა და მ. კვალიაშვილის მოგონებებიდან

ივანე ჯავახიშვილი

«სტუდენტები, განსაკუთრებით საყვარელი ლექტორის, ივანე ჯავახიშვილის ცრემლიანმა, გულმხურვალედ წარმოთქმულმა მოკლე სიტყვამ აღანთო:

«შვილებო! ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისკენ მოგიწოდებთ».

ნ. მათიკაშვილისა და მ. კვალიაშვილისმოგონებებიდან

ალექსანდრე ჩხეიძე

«1921 წლის 17 თებერვალს, გამთენიისას საყვირის განგაშით მშვიდათ მიძინებული სკოლა ფეხზე წამოყარეს. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ პატაკი ჩაიბარა, ერთეულები შეამოწმა, ნაკლოვანების შევსების ბრძანება გასცა და დაახლოებით, 10 საათზე ტაბახმელასკენ გაგვიძღვა: გზა მიხაილოვის გამზირით კოჯრისკენ მიემართებოდა. წინ ცხენზე ამხედრებული პოლკ. ჩხეიძე მიგვიძღვოდა თავისი მცირე ამალით, მას სამხედრო ორკესტრი მოსდევდა და მერე ჩვენ».

ნ. მათიკაშვილისა და მ. კვალიაშვილისმოგონებებიდან

«თოფები მხარზე, სმენაზე გვქონდა აყუდებული. მწყობრის სიზუსტის მოთხოვნილებები საშუალებას არ გვაძლევდა თავი მიგვებრუნებინა.

შიგადაშიგ თვალების მიტრიალებით თუ ვხედავდი რა ხდებოდა ირგვლივ. ერთი ასეთი გახედვისას ჩვენს მასწავლებელს, ვასილ ბარნოვს მოვკარი თვალი. თავჩაღუნული, მიწას მიჩერებული, ღრმად ჩაფიქრებული, ჭაღარაწვერიანი მიჰყვებოდა აზვირთულ ტალღას. მისი დანახვა ჩვენთვის ჯანღიან დღეში მზის გამოჩენას უდრიდა. რას ფიქრობდა? ალბათ, ერთი მხრივ, გული დარდით ევსებოდა საქართველოს ავბედობის გამო და იმავდროულად, ეამაყებოდა, რომ მისი აღზრდილი მხედრები სამშობლოს დასაცავად მიემართებოდნენ.»

მოგონებები ბრძოლის ველიდან

«თბილისის გარშემო დღეცა და ღამეც გაშმაგებული ბრძოლები გრძელდება. იგი მხო¬ლოდ 24-25 თებერვალს, ღამით, 12 საათზე მთავრდება».

იმ დღეების პრესა

«ლომებივით იბრძვიან იუნკრები ყველა ნაწილებიდან. იუნკრები ყველაზე მედგრად და განუწყვეტლივ ამაგრებენ ფრონტს... ისინი ჩასაფრებიან წუნკალა მტერს და მთელი დღე-ღამეს, როგორც ზღვის ტალღებს, უკუაქცევენ ბოლშევიკების იერიშებს...»

რეზო გაბაშვილის რეპორტაჟი უშუალოდფრონტის ხაზიდან

«ვენაცვალე! ვენაცვალე! ჩახედეთ, ჩახედეთ იმ თხრილებში... ჰყინავს... თხრილებში მდგომი წყალი გაყინულია... ხელები დალურჯებიათ მებრძოლთ და მაინც ოხუნჯობენ... ყველა აქაა, ბრძოლის ველზე...»

«დედაქალაქის მთელი მოსწავლე-ახალგაზრდობა, როგორც სტუდენტობა, ისე საშუალო სასწავლებ¬ლების უფროსი კლასების მოწაფეები ფრონტზე არიან და აღუწერელი გმირობით იბრძვიან. ჯერ არავის ახსოვს ასეთი პატრიოტული აღფრთოვანება და დაუზოგავი თავგანწირვა.»

დიდი გამძლეობა აღმოაჩნდა ქართველ ერს! მისი სულიერი სიმტკიცე არ შეირყა!... არ შეირყა მისი რაინდული მხნეობა...

მას მოსტაცეს დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მაგრამ ვერ გატეხეს! ვერც დაიმონებენ!...

რემონ დიუგე (XXს. ცნობილი ფრანგი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1919-1924წწ. ცხოვრობდა საქართველოში.)

ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის (gmas.ge) ის ადმინისტრაცია მოგმართავთ შუამდგომლობით, საქართველოსთვის ჩადენილი განსაკუთრებული, გამორჩეული გმირული საქციელისათვის, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკრთა სამხედრო სასწავლების იუნკრების: **ალექსანდრე ახვლედიანის, პლატონ დოლიძის, შალვა ერისთავის, პავლე იაკობაშვილის, ლევან კანდელაკის, ოთარ ლორთქიფანიძის, მიხეილ ლოლუას, ილია და იოსებ ჯანდიერების** სახელები მიენიჭოს ქალაქ თბილისში არსებული უსახელო ქუჩებს.

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ" პუნქტის **თანახმად: სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის ხსოვნის უკვდავყოფის ძირითადი ფორმებია: სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის სახელისა და გვარის დარქმევა ქუჩისათვის, მოედნისათვის, დაწესებულებისათვის, სკოლისათვის, აგრეთვე სამხედრო ნაწილისა და გემისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბრძოლო ოპერაციების ჩატარების დროს.**

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:1. სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ.

ამავე დადგენილების მე-2 მუხლის d^1 პუნქტის თანახმად **საზოგადო მოღვაწე არის – პირი,** რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოს ან/და კაცობრიობის წინაშე, კულტურის, ხელოვნების, ენის, მეცნიერების, ლიტერატურის, სპორტის განვითარების, **სამშობლოს დაცვის** ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში ან საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროში.

აღნიშნული ნაბიჯის გადაგმით ღირსეული პატივი მიეგება იუნკრების ხოვნას რომლებიც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბოლშევიკების მე-11 არმიასთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ.

თბილისი უნდა იცნობდეს თბილისის დაცვისთვის ბოლშევიკებთან ბრძოლებში დაღუპულ გმირ იუნკერებს.

პატივისცემით

ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის

(gmas.ge) დამფუძნებელი იოსებ ჭონქაძე

24.04.2020

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/6469452**
თარიღი: **27/01/2021**
პინი: **####**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დედაქალაქის რიგი გეოგრაფიული ობიექტებისთვის კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას, საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილის, იუნკერების-პლატონ დოლიძის და ალექსანდრე ახვლედიანის, ასევე ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის სამხედრო მოღვაწე ვლადიმერ გოგუაძის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა და მათ მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032017598**
თარიღი: **23/06/2020**
პინი: **9366**

ადრესატი: იოსებ ჭონქაძე
პირადი ნომერი: 16001018464
მისამართი: გლდანის მასივი, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 77, ბინა 23

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2020 წლის 5 მაისის საქმე 19/032012682-03, რომლითაც ითხოვთ თბილისში ქუჩებს დაერქვას გმირი იუნკერების სახელები.

გაცნობებთ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეტაპობრივად იმსჯელებს წარმოდგენილ ინიციატივასთან დაკავშირებით.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

პლატონ დოლიძე

იუნკერი

1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრით ქვეყანაში დაიწყო ხანმოკლე ომისა და ხანგრძლივი საოკუპაციო რეჟიმის პერიოდი.

საბჭოთა რუსეთის მიზანს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დამხობა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ოკუპაციური, ბოლშევიკური რეჟიმის გავრცელება წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთის მთავრობის მზაკვრული გეგმის თანახმად წითელი არმია საქართველოში უნდა შემოსულიყო არა როგორც დამპყრობელი, არამედ, როგორც მუშების და გლეხების მხარდამჭერი ძალა, იმ მუშების და გლეხების დაცავად, რომლებიც თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აუმხედრდა.

1921 წლის 11 თებერვალს, მოსკოვის ინსტრუქციების თანახმად, წითელი არმია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოიჭრა. წითელარმიელების მასიური შემოტევა ქვეყნის ხუთი მხრიდან განახორციელა. ორი ძირითადი შეტევა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან , სამი დანარჩენი კავკასიონის მთებიდან და შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ განხორციელდა.

საქართველომ ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დასაცავად წითელარმიელებს დაახლოებით 40-ათასიანი ჯარი დაუპირისპირა. მათთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარის ნაწილები, გვარდიელები, უბრალოდ საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც სისხლი დაღვარეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინეს სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა - იუნკერებმა, რომლთა შორის იყო პლატონ დოლიძე.